



ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს

წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი”

საქართველო, ქ. თბილისი 0162, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ/ფაქსი: 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს

წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის

სრულუფლებიანი წარმომადგენლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 02-00/30

ქ. თბილისი

27. 12 2013

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში” სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის” წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე” ქვეპუნქტის, ამავე უნივერსიტეტის „საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის” XIX თავის პირველი პუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 23 დეკემბრის დადგენილების (ოქმი №14) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე საბოლოო შეფასების „F (ჩაიჭრა)” მქონე სტუდენტებს სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლისას სწავლების საფასური განესაზღვროთ, მოცემული სასწავლო კურსისასთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, ერთი კრედიტის ღირებულება - 50 ლარით;
2. წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული წესი გავრცელდეს სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლის მხოლოდ იმ შემთხვევებზე, რომლებიც გამოიწვია სტუდენტების მიერ სასწავლო კურსზე საბოლოო შეფასების - „F (ჩაიჭრა)” მიღებამ ამ წესის ამოქმედების შემდგომ;
3. დამატებით სემესტრის გავლის ან ცალკეული სასწავლო კურსის განმეორებით მოსმენის უფლება სტუდენტს მიეცემა შესაბამისი განცხადებისა და ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე;

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში“ საგნის განმეორებით შესწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2010 წლის 10 ნოემბრის №01-00/07 ბრძანება;
5. ეთხოვოს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს „საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ ამ ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა;
6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მთავარ ბუღალტერს (ქ-ნი ნაზიკო სხულუხია), საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს (ბ-ნი ემილ კოპალიანი);
7. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის

სრულუფლებიანი წარმომადგენელი, მეუფე



იაკობი (იაკობიშვილი)